

სიზ კეხიჯვარის საჯარსო სკოლა

ინტეგრირებული ზოგადი მოდული-მათემატიკური წიგნიერება

სტუდენტი-ნინი ცხოვრებაში

ფინანსური მათემატიკის საწყისები

ცხოვრების განმავლობაში ადამიანებს უამრავი ფინანს-სური გადაწყვეტილების მიღება უწევთ, რომელთა დიდი ნაწილიც ფინანსურ ორგანიზაციებთან თანამშრომლობასთანაა დაკავშირებული. გადაწყვეტილება შესაძლოა მასშტაბური იყოს, როგორიცაა, მაგალითად, ბინის შეძენა, თანხის დაბანდება, ან, ერთი შეხედვით, უმნიშვნელოც, როგორიცაა, მაგალითად, ყოველთვიური კომუნალური გადასახადების გადახდა, ავტომობილის დაზღვევა. თუმცა, დღე-ვანდელ რეალობაში ფინანსური პროდუქტები და ინსტრუმენტები ხშირად იმდენად კომპლექსურია, რომ გადაწყვეტილების მიღება არც თუ ისე მარტივია. მოიძიეთ, ინფორმაცია ბანკზე, საბანკო პროდუქტებსა და საბანკო ტერმინებზე (რას ენოდება დეპოზიტი, სესხი, ანგარიში, საპროცენტო განაკვეთი, მარტივი და რთული პროცენტი და სხვა); გამოკითხეთ, ხალხი თქვენ ირგვლივ და დაადგინეთ, სესხით უფრო მეტი ადამიანი სარგებლობს თუ დეპოზიტით? დაადგინეთ, არიან თუარა კმაყოფილი სესხის აღებით? არიან თუ არა კმაყოფილები დეპოზიტის გახსნით? წარმოიდგინეთ, ადამიანს სჭირდება 10 000ლარი მანქანის საყიდლად, რა უფრო ხელსაყრელია დადოს დეპოზიტიზე თანხა 5წლის ვადით იყიდოს და ყოველთვიური შენატანით გადაიხადოს სესხი? შეადარეთ ორი სიტუაცია ერთმანეთს. მითითება: იმისათვის, რომ შეადაროთ დარეკეთ ბანკში და გაარკვიეთ, მოცემული დღის მონაცემებით, რა პირობებია დეპოზიტისთვის და რა პირობებია სესხისთვის (რამდენ პროცენტიანი განაკვეთია თითოეული შემთხვევისთვის). ბანკი არის ვინც ფულს ინახავს ბანკში, უხდის სარგებელს, ანუ ბანკში შეტანილ თანხას, ბანკი უმატებს გარკვეულ თანხას თქვენ სასარგებლოდ. ასევე, ალბათ, გსმენიათ, რომ ადამიანები ხშირად იღებენ ბანკისგან თანხას სესხად, რა შემთხვევაშიც, პირიქით, ბანკს უხდის სარგებელს. საინტერესოა გამოვიკვლიოთ, რა პრინციპით ითვლის სარგებელს როგორც თქვენს, ასევე, თავის სასარგებლოდ. იმისათვის, რომ გამოვიკვლიოთ ბანკის მუშაობა შევასრულოთ დავალება.

სესხი-ეს არის თანხა, რომელიც ადამიანი ან ორგანიზაცია იღებს ბანკიდან ან სხვა პირისგან გარკვეული ვადით და განსაზოვრციელებლად, ხშირად დამატებითი პროცენტის გადახდით.

მარტივი: ვიღებ ფულს ახლა და ვაღებულები ვარ, დავაბრუნო წინა შეთანხმების თანახმად, დამატებული პროცენტით.

რა არის საპროცენტო განაკვეთი?

ეს არის პროცენტების რაოდენობა, რომელიც დაგიმატებენ ან დაგაკლებენ ფულზე გარკვეულ პერიოდში.

მარტივად:

საპროცენტო განაკვეთი სესხზე-რამდენი პროცენტი უნდა გადაიხადო სესხის გამოყენებისათვის.
საპროცენტო განაკვეთი დეპოზიტზე- რამდენი პროცენტი გიმატებენ შენახულ ფულზე. მაგალითად
თუ ბანკი გთავაზობს 5%-ს წელიწადში, 100ლარზე წელიწადში 5 ლარს მოგიმატებენ.

ანგარიში

ანგარიში-ეს არის ჩანაწერი ან დოკუმენტი, რომელიც აჩვენებს ფულის მოძრაობს: რამდენი
შემოვიდა, რამდენი გავიდა და რა რაოდენობის ფული გრჩება.

დეპოზიტი

ფული ან ნივთი, რომელსაც ვდებ ბანკში ან ინსტიტუტში გარკვეული ვადით ან მიზნით, ხშირად
პროცენტის სანაცვლოდ.

ბანკის არის ფინანსური ინსტიტუტი, რომელიც ახორციელებს ფულის მართვას, შენახვასა და
განაწილებას. მისი მთავარი დანიშნულებაა, რომ ადამიანებსა და კომპანიებს მისცეს შესაძლებლობა:

ძირითადი ფუნქციები:

1. თანხის შენახვა-ანაბრების სახით.
2. სესხის გაცემა-ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე.
3. გადარიცხვები და გადახდები-როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საერთაშორისო დონეზე.
4. ინვესტიციები-ფინანსურ ბაზრებზე ოპერაციები.
5. სავალუტო ოპერაციები-ვალუტის ყიდვა-გაყიდვა.

ინფორმაცია თიბისი ბანკის შესახებ

. TBC Bank დაარსდა 1992წელს, თავდაპირველად როგორც "Tbilisi Business Centre" (თბილისის
ბიზნეს ცენტრი).

. დღეს TBC Bank არის ერთ-ერთი ყველაზე დიდი და პოპულარული კომერციული ბანკი
საქართველოში.

წარმოდგენილი პროდუქტები და სერვისები

TBC ბანკს ქართულ ბაზარზე აქვს მრავალფეროვანი სერვისები:

1. საბანკო ანგარიშები- პირადი და სადაზღვეო ანგარიშები.
2. ბარათები-სადეპოზიტო, საკრედიტო ბარათები.
3. სესხები- მომხმარებლისთვის, საცხოვრებელი, მიკრო და SME სესხები.

ბაზრის წილი და მომხმარებელი

.TBC ბანკის ბაზრის წილი საკმაოდ დიდი აქვს დაახლოებით -40% ბაზარზე (ანაკვეთობით, ბანკის განცხადებების მიხედვით)

.მომხმარებელთა რაოდენობა ბანკში უზარმაზარია, ბევრი პირი იყენებს მათი MobileBank აპლიკაციას და სხვა ციფრულ სერვისებს.

.2025 წლის მეორე კვარტალში TBC ბანკის მომხმარებელთა სესხების ბაზრის წილი დაახლოებით 37.8% იყო, დეპოზიტების ბაზარზე-38.1%

.2024 წლის მდგომარეობით, TBC ბანკი ფლობს 38.5% სესხებისა და 38.1% დეპოზიტების ბაზრის წილს.

მანქანის ყიდვისას ადამიანებს ორი გზა აქვთ: თანხის დაგროვება დეპოზიტზე ან სესხის აღება.

პრაქტიკული მაგალითი უკეთ ახასიათებს ფინანსური გადაწყვეტილების მნიშვნელობას: თუ ადამიანს სჭირდება 10 000 ლარი მანქანის ყიდვისთვის, მას ორი ვარიანტი აქვს:

პირველი - თანხის ბანკში შენახვა 5წლით (დეპოზიტი) და შემდეგ მანქანის ყიდვა,

მეორე - სესხის აღება 5წლის ვადით და ავტომობილის დაუყოვნებელი ყიდვა, დეპოზიტის შემთხვევაში საბოლოო თანხა 16 105ლარი იქნება, თუმცა მანქანას ვერ იყიდის დროულად. სესხის შემთხვევაში კი მას შეუძლია მანქანის ყიდვა დღესვე, თუმცა მთლიანად გადაიხდის დაახლოებით 14 280 ლარს. ამიტომ გადაწყვეტილება დამოკიდებულია მიზანზე: დროულად მანქანის ყიდვა სესხით უფრო ხელსაყრელია, ხოლო მეტი თანხის დაგროვება დეპოზიტით-სარგებლის მომგებიანია ხანგრძლივ პერსპექტივაში.

დასკვნის სახით, ბანკი არის მნიშვნელოვანი ინსტიტუტი, რომელიც საშუალებას გვაძლევს დავგეგმოთ ჩვენი ფინანსები, მოვიპოვოთ სარგებელი დეპოზიტებიდან ან შევიძინოთ საჭირო ნივთები სესხის დახმარებით. მარტივი და რთული პროცენტის სწორად აღქმა, სესხისა და დეპოზიტის შედარება, ასევე ფულის სწორად დაგეგმვა მნიშვნელოვანია პასუხისმგებელი ფინანსური გადაწყვეტილებების მისაღებად.

მაგალითად, თუ ბანკში ჩავდებთ 10 000 ლარს 5წლით 10%-იანი წლიური პროცენტით, მარტივი პროცენტის შემთხვევაში ვიღებთ 15 000ლარს, ხოლო რთული პროცენტის შემთხვევაში 16 105 ლარს. ეს მცირე მაგალითი ნათლად აჩვენებს, თუ როგორ შეიძლება ერთი და იგივე საპროცენტო განაკვეთი განსხვავებულ შედეგს მოგვცემს, თუ პროცენტი რთულად დარიცხა.

გამოკითვის შედეგად დასკვნადა გამოვიდა, რომ ადამიანები უფრო ხშირად სარგებლობენ სესხებით, ვიდრე დეპოზიტებით. მათ შორის, ვინც სესხს იღებს, ზოგჯერ უკმაყოფილონი არიან მაღალი პროცენტის გამო, ხოლო დეპოზიტარებს ხშირად არ მოსწონთ დაბალი სარგებელი.

1)დეპოზიტი 5წლის ვადით

თუ ადამიანი ჩადებს თანხას ბანკის დეპოზიტზე 5წლის ვადით, პროცენტის დამატებით შეძლებს 10,000ლ-ის მიღებას მანქანის შესაძენად. მაგალითად 7,835ლ-ის ჩადებით, 5წლის მერე თანხა გაიზრდება საჭირო სიდიდემდე.

-დადებითი: დანახარჯი მინიმალურია, თანხა უსაფრთხოდ იზრდება.

-უარყოფითი: მანქანა მაშინვე ხელმისაწვდომი არ არის, უნდა დაელოდოთ დაგროვებას.

2) სესხი 5წლის ვადით

სესხის აღება საშუალებას აძლევს მანქანა მაშინვე იყიდოს, მაგრამ პროცენტების გამო საბოლოო ჯამური ხარჯი ბევრად მეტია (მაგალითად, 10% წლიური პროცენტით 5წლის ვადით ჯამური გადასახადი შეიძლება იყოს-12,720ლ).

დადებითი: მანქანა ხელმისაწვდომია მაშინვე.

უარყოფითი: საბოლოო ხარჯი უფრო მაღალია, სესხის პროცენტის გამო.

ეკონომიური თვალსაზრისით დეპოზიტი გაცილებით ხელსაყრელია, რადგან ჯამურად მხოლოდ საჭირო თანხა იხარჯება. სესხი სარგებელიანია დროისა და კომფორტის თვალსაზრისით, როცა მანქანა უნდა მიიღო მაშინვე, მაგრამ ეს დამატებით ხარჯებთან არის დაკავშირებული.

-თუ მთავარი მიზანია დაზოგვა დეპოზიტი უკეთესია.

-თუ მნიშვნელოვანია მანქანის მიღება სწრაფად სესხი უფრო პრაქტიკული, მაგრამ ძვირი ვარიანტია.

დეპოზიტი--10000ლარი თიბისი ბანკი

სესხი-10000ლარი თიბისი ბანკი

დასკვნა

ჩემი აზრით დეპოზიტი სესხთან შედარებით უფრო მომგებიანი და უსაფრთხო არჩევანია, რადგან ის ადამიანს საშუალებას აძლევს დააგროვოს თანხა, მიიღოს დამატებითი სარგებელი პროცენტის სახით და არ შექმნას ვალდებულებები ბანკის წინაშე. დეპოზიტი აჩვენებს ადამიანს ფინანსურ დაგეგმვასა და პასუხისმგებლობას, უზრუნველყოფს სტაბილურობას და მომავალში ეხმარება საკუთარი მიზნების დამოუკიდებლად მიღწევაში სესხის გარეშე. ჩვენი დავალებიდან გამომდინარე ვიგებთ რომ ბანკთან თანამშრომლობა შეიძლება იყოს ძალიან მომგებიანი.

ანაბრის გახსნის თარიღი	ანაბრის გახსნის თარიღი
2025/10/13	2025/10/13
ანაბრის სანყისი თანხა	ანაბრის სანყისი თანხა
10 000	10 000
ანაბრის ვადა (თვე)	ანაბრის ვადა (თვე)
60	60
ანაბრის წლიური საპროცენტო განაკვეთი	ანაბრის წლიური საპროცენტო განაკვეთი
12%	12%
ყოველთვიური დანამატი ანაბარზე	ყოველთვიური დანამატი ანაბარზე
2	2
პროცენტის დარიცხვის მეთოდი	პროცენტის დარიცხვის მეთოდი
შარტივი	რთული
პროცენტის კაპიტალიზაციის პერიოდულობა	პროცენტის კაპიტალიზაციის პერიოდულობა
ყოველთვიური	ყოველთვიური
ყოველთვიური საკომისიო	ყოველთვიური საკომისიო
10	10
განაღების საკომისიო	განაღების საკომისიო
10%	10%

დეპოზიტის ეფექტური საპროცენტო
განაკვეთი

7.62%

დეპოზიტის ეფექტური საპროცენტო
განაკვეთი

5.63%

ანაზრის დეტალები



